პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

ევროკავშირი გარემოს მონიტორინგის გასაუმჯობესებლად შავ ზღვაში - EU4EMBLAS

განხორციელების ვადა: 01.04.2021 - 01.04.2024

EaP ქვეყნები:
საქართველოს, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 2 000 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
United Nations Development Programme

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/groups/1660089820968698

პროექტის ვებსაიტები: emblasproject.org/

პროექტის აღწერა:

პროექტი „ევროკავშირი გარემოს მონიტორინგის გასაუმჯობესებლად შავ ზღვაში“ (EU4EMBLAS) წარმოადგენს ევროკავშირის წარსულში განხორციელებული პროექტის „გარემოს მონიტორინგის გაუჯობესება შავ ზღვაში“ გაგრძელებას. პროექტის ზოგადი ამოცანაა შავი ზღვის ეკოლოგიის გაუმჯობესების მხარდაჭერა. ამ ამოცანის შესასრულებლად განხორციელდება შემდგომი ტექნიკური დახმარება, რომლის ფარგლებში შეიქმნება გარემოს მონიტორინგის თანამედროვე სისტემები და საშუალებები საქართველოსა და უკრაინაში, გაუმჯობესდება პოტენციალი, შეფასდება ეკოლოგიური მდგომარეობა ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო-დირექტივის/წყლის ჩარჩო-დირექტივის (MSFD/WFD) შესაბამისად, და ჩატარდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები შავი ზღვის ეკოლოგიის საკითხებზე. ამ პროცესში მონაწილეობას ძირითადად მიიღებენ შესაბამისი ეროვნული უწყებები და სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციები, რომლებიც შავის ზღვის მონიტორინგს ახორციელებენ.

მოსალოდნელი შედეგები:

- საზღვაო ეკოლოგიის მონიტორინგის თანამედროვე სისტემების და საშუალებების შექმნა საქართველოსა და უკრაინაში.

- ეროვნული პოტენციალის გაძლიერება საზღვაო ეკოლოგიის მონიტორინგის თანამედროვე ანალიტიკური მეთოდების, მონაცემთა მართვის და შეფასების გამოყენებაში საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო-დირექტივის (MSFD) მეთოდების და პროტოკოლების შესაბამისად.

- ფართო საზოგადოების უკეთ ინფორმირება და ახალგაზრდა თაობის განათლების მხარდაჭერა შავი ზღვის ეკოლოგიის საკითხებზე.